



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი(BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყურით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გავგიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,

Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. მობილური ჟურნალისტიკის კონკურსი
2. ორთვიანი გაცვლითი კურსი გერმანული პროგრამისაგან CrossCulture +++
3. ლორენცო ნატალის პრემია ჟურნალისტიკისათვის
4. კრიზისების გაშუქების პულიცერის ცენტრის სამგზავრო გრანტები
5. სარეზიდენტო პროგრამა ჟურნალისტიკისათვის
6. სტაჟირება ჟურნალისტიკისათვის გერმანიაში
7. გაეროს სტიპენდიები ჟურნალისტიკისათვის
8. IWMF-ის კონკურსი ჟურნალისტიკისათვის მთელი მსოფლიოდან
9. გრანტი კვლევისათვის ბრიტანული ანალიტიკური ცენტრისაგან Chatham House
10. კორუფციასთან ბრძოლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სკოლა Transparency International-გან
11. სემინარი «მედია და კონფლიქტები»
12. კონფერენციაზე დასწრების სამგზავრო გრანტები გამომძიებელ ჟურნალისტთა გლობალური ქსელისაგან
13. უკვე წარმოებული ისტორიების გამოყენებით პროგრამებისა და მასალების სერიების შექმნის მხარდაჭერა
14. გრანტი ეკო ჟურნალისტიკისათვის
15. რეგისტრაცია ლვოვის მედია ფორუმზე
16. სტიპენდიები ჟურნალისტიკისათვის
17. გრანტი სამხრეთ კავკასიაში მოღვაწე ქალი ფოტოგრაფებისათვის
18. «მეზობლები»: კონკურსი საერთაშორისო მულტიმედია მასალების შესაქმნელად

1. მობილური ჟურნალისტიკის კონკურსი

Thomson Foundation და ირლანდიაში მიმდინარე კონფერენცია Mojofest აცხადებენ ნამუშევრების მიღებას, მობილური ჟურნალისტიკის კონკურსზე. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, 18 წელს ზემოთ.

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარადგინონ ჟურნალისტური ვიდეო მასალა 2-დან 5 წუთამდე ხანგრძლივობის, რომელიც იქნება გადაღებული და დამონტაჟებული მხოლოდ მობილური ტელეფონის მეშვეობით. ((iOS, Android, Windows Phone, RIM Blackberry და ა.შ.). უცხო ენებზე შესრულებულ ნამუშევრებს უნდა ახლდეს ინგლისური სუბ-ტიტრები.

გამარჯვებული მიიღებს 1000 ევროს ღირებულების მობილური ჟურნალისტიკის ნაკრებს. მას ასევე დაუფინანსდება გამგზავრება Mojofest-ზე, რომელიც ირლანდიაში 6-დან 8 ივნისის ჩათვლით გაიმართება (ორგანიზატორი ფარავს მგზავრობის, ადგილზე ცხოვრების და კონფერენციის ბილეთის საფასურს).

დეტალები: <http://www.thomsonfoundation.org/competitions/mobile-journalist>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 12 აპრილი 2019 წ.

2. ორთვიანი გაცვლითი კურსი გერმანული პროგრამისაგან CrossCulture +++

«CrossCulture აღმოსავლეთ პარტნიორობა და რუსეთი“ სტიპენდიის ფარგლებში <https://ifa-portal.rexx-recruitment.com/job-offers.html> ახალგაზრდა სპეციალისტებს და მოხალისეებს გერმანიიდან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან და რუსეთიდან შეუძლიათ მიიღონ ორთვიანი პროფესიული გამოცდილება, განსხვავებულ კულტურულ გარემოცვაში.

აქტუალურია, თუ კი თქვენ 23-დან 45 წლამდე ასაკის ხართ, კარგად საუბრობთ ინგლისურად, ასევე მუშაობთ ან ხართ მოხალისე მინიმუმ ორი წლის განმავლობაში შემდეგ სფეროებში:

- ადამიანის უფლებები, მიგრაცია და დევნილები
- პოლიტიკური განათლება და ახალგაზრდების ჩართულობა
- საზოგადოება, კულტურათმორისი დიალოგი, შუამავლობა და შემრიგებლობა
- მასმედია და კულტურა

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.ifa.de/en/funding/crossculture-programme-eastern-partnerships-and-russia>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 14 აპრილი 2019 წ.

3. ლორენცო ნატალის პრემია ჟურნალისტიკისათვის

ლორენცო ნატალის პრემია (Lorenzo Natali Journalism Prize), რომელიც ევროკომისიის მიერ ფინანსდება, ენიჭება ჟურნალისტებს ბეჭდურ, რადიო და ტელე ჟურნალისტიკაში მიღწევებისათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ავტორებს მთელი მსოფლიოდან, რომლებიც აშუქებენ თემებს ადამიანის უფლებების, განვითარების, დემოკრატიის შესახებ.

მიმდინარე წლის საერთო თემა: „ჟურნალისტიკა განვითარებისათვის ბრძოლაში“. კონკურსი განსაკუთრებით დაინტერესებულია თემებით, რომლებიც ეხება თანამშრომლობას განვითარების მიზნით. პრიორიტეტულ თემებს შორის არის- ახალგაზრდობა, გენდერული თანასწორობა, ჯანდაცვა, კლიმატის ცვლილებები და სხვა.

მიიღება ნამუშევრები, რომლებიც გადაიცა ეთერში ან გამოქვეყნდა 2018 წლის 10 მარტიდან 2019 წლის 9 მარტამდე, ნებისმიერ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ კი მასალები არ არის მომზადებული ინგლისურ, ფრანგულ ან ესპანურ ენებზე, ნამუშევარს უნდა ახლდეს თარგმანი, რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ ენაზე. გამარჯვებულები თითოეულ კატეგორიაში მიიღებენ ჯილდოს 10 000 ევროს ოდენობით.

იხილეთ დაწვრილებით: <https://ec.europa.eu/europeaid/lnp>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 14 აპრილი 2019 წ.

4. კრიზისების გაშუქების პულიცერის ცენტრის სამგზავრო გრანტები

ჟურნალისტებს, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას და აშუქებენ კრიზისებს, შეუძლიათ შეავსონ განაცხადი სამგზავრო გრანტის მისაღებად, 5 000 ამერიკული დოლარის ოდენობით.

პერსეფონა მიელის გრანტები ორიენტირებულია ჟურნალისტურ პროექტებზე, რომლებიც ეძღვნება გლობალურ კრიზისებს, რომელთა შესახებაც ნაკლებს ყვებოდა ტრადიციული ამერიკული მასმედია. გრანტები წარმოდგენილია კრიზისების გაშუქების პულიცერის ცენტრის მიერ Internews-ის მხარდაჭერით. გრანტის მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიონალებს, რომლებიც ამერიკის მიღმა ცხოვრობენ, მიწვდნენ საერთაშორისო აუდიტორიას.

კონკურსზე მიიღება ჟურნალისტების, მწერლების, ფოტოგრაფების, რადიო გადაცემების პროდიუსერების და ფილმის შემქნელების პროექტები, ასევე ფრილანსერების და შტატში მომუშავე ჟურნალისტების. კონკურსანტები უნდა ცხოვრობდნენ აშშ-ს ფარგლებს მიღმა. განსაკუთრებით მისასალმებელია ქალთა განაცხადები.

იხილეთ დაწვრილებით: <http://pulitzercenter.org/grants/persephone-miel-fellowship>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 15 აპრილი 2019 წ.

5. სარეზიდენტო პროგრამა ჟურნალისტებისათვის

The MacDowell Colony <http://www.macdowellcolony.org> საკუთარი სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში, იღებს განაცხადებს ჟურნალისტებისაგან, რომლებიც მოცულობით პროექტებზე მუშაობენ. პროგრამა საშუალებას აძლევს შერჩეულ კანდიდატებს, იცხოვრონ ცნობილ პეტერბოროუში, ნიუ ჰემპშირი, ამერიკა და იმუშვონ შემოქმედებით პროექტებზე. ცხოვრების ვადები 2-დან 8 კვირამდეა. მომდევნო პროგრამა წარიმართება 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 31 იანვრამდე. განაცხადების შევსება შეუძლიათ როგორც გამოცდილ და ცნობილ, ისე დამწყებ ჟურნალისტებს. პეტერბოროუში, ჩამოდიან მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, რეჟისორები, დრამატურგები და არქიტექტორები მთელი მსოფლიოდან. შესაძლებელია დაფინანსების მიღება 2 500 დოლარამდე, ასევე შესაძლებელია თანხის მიღება სატრანსპორტო ხარჯებისათვის.

წყარო: <https://www.macdowellcolony.org/apply-for-fellowship>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 15 აპრილი 2019 წ.

6. სტაჟირება ჟურნალისტებისათვის გერმანიაში

საერთაშორისო ჟურნალისტური პროგრამების ორგანიზაცია (Internationale Journalisten-Programme) იწვევს ჟურნალისტებს, რუსეთიდან, საქართველოდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან, ასევე ბალტიის ქვეყნებიდან მიიღონ მონაწილეობა მარიონ დენხოფის პროგრამაში და შეიქმნან საკუთარი წარმოდგენა გერმანიის პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. 5 ახალგაზრდა ჟურნალისტი მიიღებს შესაძლებლობას ორი თვის განმავლობაში იმუშაოს სატყიორ-რედაქტორად გერმანიის ერთ-ერთ მედიაში. სტიპენდიის სახით ერთჯერადად გაიცემა 3 800 ევრო .

იხილეთ დაწვრილებით: <http://grantist.com/internship/stazhirovka-dlya-zhurnalistov-v-germanii>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 15 აპრილი 2019 წ.

7. გაეროს სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის

აღნიშულ სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადების გაგაზვანა შეუძლიათ 22-დან 35 წლამდე ასაკის ჟურნალისტებს. გაეროს ორგანიზებული <http://www.un.org/en/index.html> რეჰამ ალ ფარის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა, ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან საშუალებას აძლევს გაეცნონ ნიუ-იორკში გაეროს შტაბ-ბინის მუშაობას. მონაწილეებს, ასევე შეეძლება შეხვედნენ კოლეგებს სხვა ქვეყნებიდან. პროგრამა წარიმართება 15 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით. ის ღიაა სხვადასხვა ქვეყნის მონაწილეებისათვის. მონაწილეებს დაუფინანსდებათ ავია ტრანსპორტირება, ისინი ასევე მიიღებენ სტიპენდიას საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად.

იხილეთ დაწვრილებით: <https://outreach.un.org/raf/eligibility>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 15 აპრილი 2019 წ.

8. IWWMF-ის კონკურსი ჟურნალისტებისათვის მთელი მსოფლიოდან

The IWWMF's Reporting Grants for Women's Stories – საერთაშორისო ქალთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამა შექმნილია მასმედიაში მომუშავე ქალების მიერ ქალებისათვის.

გრანტის მიზანია - დაეხმაროს ჟურნალისტებს გააშუქონ ისტორიები, რომლებიც ეხება ქალების ყოველდღიურ ცხოვრებაში არსეულ პრობლემებს.

ვის შეუძლია მონაწილეობა? : ქალ ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან (ჟურნალისტიკა უნდა იყოს ძირითადი პროფესია), რომელთაც აქვთ არა ნაკლებ სამწლიანი მუშაობის გამოცდილება.

მონაწილეობისათვის საჭიროა ექაუნთის შექმნა: <https://iwmf.submittable.com/submit/1dc456c0-e844-404e-8809-e8f3ff2ad3c2/reporting-grants-for-womens-stories-2019> (დააჭირეთ ღილაკს Create your account) და ფორმის შევსება.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 21 აპრილი 2019 წ.

9. გრანტი კვლევისათვის ბრიტანული ანალიტიკური ცენტრისაგან Chatham House

ბრიტანეთის ანალიტიკური ცენტრი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში – Chatham House იღებს საგრანტო განაცხადებს. კანდიდატები, (აკადემიკოსები, მედიის, არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის, სამთავრობო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები) რომლებიც კარიერულ განვითარებას ესწრაფვიან, შეთავაზებულთაგან ერთ-ერთ თემაზე უნდა განახორციელონ კვლევა, ასევე შესაძლებელია საკუთარი კვლევის წარმოება, მონაწილეობის მიღება Chatham House-ის კვლევებში და ლიდერებისათვის განკუთვნილ პროგრამაში ჩართვა.

პროგრამის მონაწილეები მიიღებენ 2340 £. გრანტის გაცემის პერიოდი 2019 წლის სექტემბრიდან 2020 წლის ივნისამდე. ორგანიზატორები ასევე დაფარავენ სატრანსპორტო ხარჯებს, ტრენინგებს და პუბლიკაციის ხარჯებს.

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.chathamhouse.org/academy/fellowships/robert-bosch-russia-eurasia#When%20can%20I%20apply>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 29 აპრილი 2019 წ.

10. კორუფციასთან ბრძოლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სკოლა Transparency International-გან

Transparency International School on Integrity — ეს არის ყოველწლიური ანტიკორუფციული მოსამზადებელი სკოლა მომავალი ლიდერებისათვის. დამდეგი სკოლა შედგება 8-14 ივლისს, 2019 წ. ვილნიუსში, ლიეტუვა. სკოლა მონაწილეებს წარუდგენს უახლეს კვლევებს და მეთოდებს კორუფციასთან ბრძოლის სფეროში. სწავლების პროცესში შესაძლებელია საკუთარი იდეების გამოცდა პრაქტიკაში.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისათვის იწვევენ მაღალ კლასელებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და ახალგაზრდა სპეციალისტებს 35 წლამდე.

ორგანიზატორები სთავაზობენ სრულ, ან ნაწილობრივ სტიპენდიებს შემდეგი ქვეყნების მოქალაქეებს: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ბულგარეთი, საქართველო, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სამხრეთ აფრიკა, თურქეთი და უკრაინა. სრული სტიპენდია ფარავს: ლიეტუვაში გამგზავრებას, სწავლების საფასურს და საცხოვრებელ ხარჯებს.

განაცხადის შევსება შესაძლებელია ბმულზე <https://transparencyschool.org/apply>, ასევე აუცილებელია მოკლე სამოტივაციო წერილის და ევროპულ ფორმატში მომზადებული CV-ს ატვირთვა.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 30 აპრილი 2019 წ.

11. სემინარი «მედია და კონფლიქტები»

საერთაშორისო სემინარი გაიმართება 25-30 აგვისტოს ისრაელში. სემინარის ფოკუსი მიმართულია კონფლიქტების გაშუქებისა და ჟურნალისტური კეთილსინდისიერებისაკენ. მედია სფეროს წარმომადგენლებს, საშუალება ექნებათ მსოფლიოს წამყვანი ექსპერტებისაგან, მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და უნარები კონფლიქტების გაშუქებისათვის. შესწავლის საგნად გამოყენებული იქნება პალესტინა ისრაელის კონფლიქტი. მონაწილეები მიიღებენ სიღრმისეულ წარმოდგენას კონფლიქტების სტრუქტურის, მათი გაშუქების დაბრკოლებების და დაძლევის თაობაზე.

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.mics.org.il>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 30 აპრილი 2019 წ.

12. კონფერენციაზე დასწრების სამგზავრო გრანტები გამომძიებელ ჟურნალისტთა გლობალური ქსელისაგან

ჟურნალისტებს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან, შეუძლიათ შეავსონ განაცხადი საგრანტო დაფინანსებაზე, რათა დაესწრონ გამომძიებელ ჟურნალისტთა გლობალურ კონფერენციას, რომელიც 26-29 სექტემბერს ჰამბურგში (გერმანია) გაიმართება.

გამომძიებელ ჟურნალისტთა გლობალური ქსელი (Global Investigative Journalism Network) გასცემს 200-მდე სტიპენდიას ახალგაზრდა პერსპექტიული და ასევე, გამოცდილი ჟურნალისტებისათვის, რომელთაც გააჩნიათ საგამომძიებო ჟურნალისტიკისადმი ინტერესი.

კონფერენცია მოიცავს 150-ზე მეტ პანელ-დისკუსიას, სემინარებს და სესიებს მსოფლიოში წამყვანი გამომძიებელი ჟურნალისტების, დატა-ჟურნალისტების და ექსპერტების გამოცდილების გაზიარების მიზნით. ორგანიზატორები მოელიან, რომ გრანტის მიმღებები გამოაქვეყნებენ მასალებს ან მოამზადებენ ანგარიშს კონფერენციის შესახებ, საკუთარ ქვეყნებში დაბრუნებისას. ორგანიზატორები განსაკუთრებით მოუწოდებენ განაცხადების შევსებისაკან ცალკეული გაერთიანებების წევრ ჟურნალისტებს, მაგ. ლგბტ და სხვა.

იხილეთ დაწვრილებით: <https://gijn.org/2019/02/25/fellowships-to-attend-the-11th-global-investigative-journalism-conference>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 5 მაისი 2019 წ.

13. უკვე წარმოებული ისტორიების გამოყენებით პროგრამებისა და მასალების სერიების შექმნის მხარდაჭერა

OPEN Media Hub აცხადებს კონკურსს განაცხადების მიღებაზე, რომელიც მიმართული იქნება სატელევიზიო და ონლაინ ჟურნალისტების უკვე შექმნილი კონტენტის განმეორებით გამოყენების მხარდაჭერაზე (კონტენტი განთავსებულია OPEN Media Hub-ის პლატფორმაზე). თითო განაცხადის მაქსიმალური ბიუჯეტი 7000 ევროა. აუცილებელია მისი მაქსიმალური დასაბუთება.

OPEN Media Hub შემდეგი მიმართულების საქმიანობას დააფინანსებს:

- არსებული ისტორიების თქვენ ენაზე თარგმნა და სუბტიტრების დამზადება;
- ორიგინალური გრაფიკის დამზადება;
- სტუდიის გამოყენება;
- ორიგინალური მუსიკის დამზადება;
- რედაქტირება/რენდერინგი;
- წამყვანის და გადამღები ჯგუფის მუშაობა;
- ყველა ელემენტი, აუცილებელი წარმოებისა და ტელე ტრანსლირებისათვის ან ინტერნეტში სერიების სახით განთავსებისათვის.

იხილეთ დაწვრილებით: <https://openmediahub.com/ru/2018/07/30/ger-support-for-usage-of-produced-stories-as-series-or-strands>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 14 მაისი 2019 წ.

14. გრანტი ეკო ჟურნალისტებისათვის

ეკო ჟურნალისტების საზოგადოება გთავაზობთ გრანტებს საზოგადოებრივი სარგებლის მქონე ჟურნალისტური პროექტებისთვის. ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან, შეუძლიათ წარადგინონ განაცხადი ეკო საკითხების პროექტის დასაფინანსებლად. გრანტის ოდენობა 5 000 აშშ დოლარის ოდენობისაა. პროექტები უნდა ეხებოდეს ბიო მრავალფეროვნების თემას და სირთულეებს, რომელთაც ადგილობრივი თემები აწყდებიან მსოფლიოს მასშტაბით. სახსრები შეიძლება იყოს გამოყენებული ჟურნალისტების საქმიანობის დასაფარად, მულტიმედია მასალების შესაქმნელად, მგზავრობისათვის. ჟურნალისტებს, რომლებიც არ არიან SEJ-ის წევრები, მოუწევთ განაცხადის წარდგენისათვის 40 დოლარის გადახდა.

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.sej.org/initiatives/fund-for-environmental-journalism>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 15 მაისი 2019 წ.

15. რეგისტრაცია ლვოვის მედია ფორუმზე

ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ლვოვის მედიაფორუმში, რომელიც გაიმართება 30 მაისიდან 1 ივლისამდე ლვოვში, უკრაინა.

ფორუმის ფარგლებში გაიმართება დისკუსიები ჟურნალისტიკის განვითარების აქტუალური ტენდენციების შესახებ, მონაწილეები გაეცნობიან მთავარ მსოფლიო მედიატრენდებს, ასევე ჩატარდება პრაქტიკული ტრენინგები და მასტერ-კლასები წამყვანი მედია სპეციალისტების მიერ მთელი მსოფლიოდან. მონაწილეობის ღირებულება შეადგენს 36 - 55 დოლარს.

იხილეთ დაწვრილებით: <http://vivmediaforum.com/2019/en/registration>

16. სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია – სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის ჟურნალისტებს სთავაზობს, მიიღონ ერთთვიანი სტიპენდია გადამზადების გავლის მიზნით, რომელიმე ჩამოთვლილ ქვეყანაში. მონაწილეები მოამზადებენ მასალებს საკუთარი ქვეყნების შესახებ საერთაშორისო პრობლემების თაობაზე, ასევე: გარემოსდაცვით საკითხებზე, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, კონფლიქტების და სახელმწიფო მმართველობის თაობაზე.

სტიპენდიის მიზანია, ხელი შეუწყოს მონაწილე ჟურნალისტების პროფესიული უნარების გაფართოვებას. ასევე, გააძლიეროს საერთაშორისო და პირთა შორის კომუნიკაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჟურნალისტურ წრეებში, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში ინფორმაციის გაცვლის სრულყოფის გზით.

იხილეთ დაწვრილებით: <https://iwpr.net/opportunities/reporting-fellowships-journalists>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 22 აპრილი 2019 წ.

17. გრანტი სამხრეთ კავკასიაში მოღვაწე ქალი ფოტოგრაფებისათვის

გეოგრაფია – სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო

თბილისის მულტიმედიისა და ფოტოგრაფიის მუზეუმი აცხადებს საგრანტო განაცხადების მიღებას სამხრეთ კავკასიის ქალი ფოტოგრაფებისათვის. Multimedia Production Lab -ისაგან 800 აშშ დოლარის მიღება შეეძლება 7 დამწყებ ქალ ფოტოგრაფს. პროექტი მოწოდებულია დაუჭიროს მხარი 6 თვემდე ხანგრძლივობის ფოტოპროექტებს, რომლებიც ეხება სამხრეთ კავკასიის პრობლემებს ან სამხრეთ კავკასიის თემებს და ჰყვება მათ ისტორიებს ფოტოგრაფიის მეშვეობით.

იხილეთ დაწვრილებით: <https://tpmm.ge/uploads/tinyMCE/documents/Multimedia%20Production%20Lab%20Grants%202019.pdf>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 15 აპრილი 2019 წ.

18. «მეზობლები»: კონკურსი საერთაშორისო მულტიმედია მასალების შესაქმნელად

გეოგრაფია: ჩამოთვლილთაგან მინიმუმ ორი ქვეყანა: ალბანეთი, ბოსნია, მონტენეგრო, სამხრეთ მაკედონიის რესპუბლიკა, სერბეთი, კოსოვო, მოლდოვა, უკრაინა, სომხეთი და საქართველო.

დონორი: Internews უკრაინა Internews Network-თან პარტნიორობით

კონკურსის მიზნები და პრიორიტეტები:

ყოველი განაცხადი უნდა შეიცავდეს ერთ თემას, რომელიც ეხება საზოგადოების ინტერესებს (პოლიტიკა, არჩევნები, ეკონომიკა, ბიზნესი, გარემო, განათლება, კორუფციასთან ბრძოლა, ევრო ინტეგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები, ემიგრაცია, უმცირესობები, შშმ პირები, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობა, კონფლიქტები და ა.შ.).

პოტენციურ მედია მონაწილეებს თავისუფლად შეუძლიათ იმ თემების შეთავაზება, რომელთა გაშუქებაც მათ სურთ.

კონკურსის მონაწილეები: მედია, ჟურნალისტები მუშაობის 3 წელზე მეტი გამოცდილებით.

გრანტის მოცულობა: პარტნიორობით გაკეთებული განაცხადისთვის მაქსიმალური ოდენობა \$ 7000, \$ 3000 - თითო მედიაზე წყვილიდან.

იხილეთ დაწვრილებით: <https://gurt.org.ua/news/grants/51935>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა – 15 აპრილი 2019 წ.



© Baltic Centre for Media Excellence, 2019.

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები: ალინა რუდინა, არშალუის მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ-JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამოწურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- thomsonfoundation.org
- ifa.de
- ec.europa.eu
- pulitzercenter.org
- macdowellcolony.org
- grantist.com
- outreach.un.org
- iwmf.submittable.com
- chathamhouse.org
- transparencyschool.org
- mics.org.il
- gijn.org
- openmediahub.com
- sej.org
- livimediaforum.com
- iwpr.net
- tpmm.ge
- gurt.org.ua

